სოციალური მედიის გავლენა მოზარდების თვითშეფასებაზე საქართველოში

ანა გაბელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიები და სოციალური პლატფორმები მოზარდების ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. მოზარდობის პერიოდი ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესი ფაზაა, რომელიც ხასიათდება იდენტობის, ინდივიდუალური ღირებულებითი სისტემისა და თვითშეფასების ფორმირებით. ამ კრიტიკულ ეტაპზე მოზარდის მიერ სოციალურ მედიაში აღქმული სტანდარტები, კომუნიკაციის სტრატეგიები და მათ შორის კომპანიების მიერ წარმოებული პიარ კამპანიები ძლიერ ინსტრუმენტად გვევლინება, რომელიც მნიშვნელოვან, ხშირად კი დრამატულ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქო-ემოციურ განვითარებასა და სოციალიზაციაზე.

საკვლევი თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში სოციალური მედიისა და პიარ სტრატეგიების შედეგად დამკვიდრებული ხელოვნური სტანდარტების გავლენის კომპლექსურ ანალიზს მოზარდების თვითშეფასებაზე. ნაშრომი პრობლემას განიხილავს იმ რაკურსით, თუ რა ფსიქოლოგიური და სოციალური რისკებით მოქმედებენ ციფრული პლატფორმები მოზარდის თვითაღქმაზე და რა როლი ეკისრება ოჯახურ (მშობლურ) მედიაციას ციფრული სტრესის პრევენციაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რეალობაში მოზარდების მიერ სოციალური ქსელების მოხმარება მასობრივი პრაქტიკაა, ამ ფენომენის ფსიქო-სოციალური და საკომუნიკაციო ეფექტების ინტერდისციპლინური კვლევა მწირია, რაც განსაზღვრავს წინამდებარე ნაშრომის მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის შედეგად მიღებულმა ჯამურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ სოციალური მედია თანამედროვე ქართულ რეალობაში აღარ წარმოადგენს მხოლოდ საკომუნიკაციო არხს, არამედ იგი გარდაიქმნა მოზარდის თვითშეფასების მართვისა და ალტერნატიული სოციალიზაციის მძლავრ ინსტრუმენტად. ნაშრომმა შექმნა მნიშვნელოვანი აკადემიური ღირებულება იმით, რომ გამოავლინა მყარი კავშირი

სოციალური მედიის პასიურ მოხმარებასა და ნეგატიურ სოციალურ შედარებას შორის, რამაც ნათლად აჩვენა, რომ ციფრული იზოლაცია და ვიზუალური ილუზიები პირდაპირპროპორციულად ამცირებს მოზარდთა თვითკმაყოფილებას და იწვევს მკაფიო გენდერულ დიფერენციაციას (გოგონებში პრობლემის ინტერნალიზებას, ხოლო ბიჭებში კი ექსტერნალიზებას).

ნაშრომის მთავარ დასკვნას წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად ოჯახებში ციფრული მედიაციის მაღალი მაჩვენებლისა , ქართულ რეალობაში არსებობს „ მშობელთა აღქმის ასიმეტრია“. მშობლების ნახევარს უჭირს მოზარდის ფარული, შინაგანი ციფრული შფოთვის ამოცნობა; ეს პასუხისმგებლობა ასევე ხშირად გაუაზრებელია პიარისა და მარკეტინგის სპეციალისტებში, რომელთა კამპანიებიც ხშირად მხოლოდ კომერციულ მიზნებს ემსახურება. შესაბამისად, უმთავრესი რეკომენდაციები ითვალისწინებს მოზარდებში კრიტიკული აზროვნებისა და ციფრული ჰიგიენის განვითარებას, ასევე კომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეთიკური სტანდარტების დაწესებას და მხარდამჭერი პირებისთვის (მშობლებისთვის) საგანმანათლებლო-საკონსულტაციო სისტემების გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: მოზარდობა, პიარი და მარკეტინგი, სოციალური მედია, თვითშეფასება, სოციალური შედარება, პასიური მოხმარება, მშობლური მედიაცია.

Abstract

In the contemporary era, digital technologies and social platforms have become an integral part of adolescents' daily lives. Adolescence is a psychologically pivotal phase characterized by the formation of identity, individual value systems, and self-esteem. At this critical stage, standards perceived on social media, communication strategies, and PR campaigns conducted by corporate companies emerge as potent instruments that exert a significant, often dramatic, influence on adolescents' psycho-emotional development and socialization.

Given the relevance of the research topic, this paper aims to provide a complex analysis of the impact of artificial standards—established through social media and PR strategies—on the self-esteem of adolescents in Georgia. The study examines the issue from the perspective of the psychological and social risks through which digital platforms affect adolescent self-perception, as well as the role of parental mediation in preventing digital stress. Although social media consumption among adolescents is a mass practice in the Georgian reality, interdisciplinary research on the psycho-social and communicative effects of this phenomenon remains scarce, which defines the scientific and practical significance of this paper.

The aggregated data resulting from the research demonstrated that social media in contemporary Georgian reality no longer represents merely a communication channel; rather, it has transformed into a powerful tool for managing adolescent self-esteem and alternative socialization. The paper created significant academic value by revealing a solid correlation between passive consumption of social media and negative social comparison. This clearly showed that digital isolation and visual illusions are directly proportional to a decrease in adolescent self-satisfaction and lead to a distinct gender differentiation (internalization of the problem in girls, and externalization in boys).

The primary conclusion of the paper indicates that despite the high rate of digital mediation in families, a "parental perception asymmetry" exists in the Georgian reality. Half of the parents struggle to recognize the hidden, internal digital anxiety of adolescents. Furthermore, this responsibility is frequently unacknowledged by PR and marketing specialists, whose campaigns often serve purely commercial purposes. Consequently, the core recommendations entail the development of critical thinking and digital hygiene among adolescents, the establishment of ethical standards for communication professionals, and the strengthening of educational-consulting support systems for support figures (parents).

Keywords: Adolescence, PR and Marketing, Social Media, Self-Esteem, Social Comparison, Passive Consumption, Parental Mediation.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში პროფესიული მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს,გიორგი მახარაძეს.მისი აქტიური ჩართულობა,სიღრმისეული და დეტალური რეკომენდაციები,ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება გადამწყვეტი აღმოჩნდა ნაშრომის წარმატებით დასრულებისთვის.

ასევე,დიდ მადლობას ვუხდი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის თითოეულ რესპონდენტს — მშობლებსა და ექსპერტ-ფსიქოლოგებს.მათ მიერ გამოყოფილი დრო, კვლევაში მონაწილეობა და პირადი თუ პროფესიული გამოცდილების გაზიარება გახდა საფუძველი ამ ნაშრომის ემპირიული ღირებულების.